პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 22 0001400770

03/11/2022

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის ,,სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას (ს/კ:400023595) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული ,,სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი).**

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 03 ნოემბრის №1400188 ოქმის მეოთხე საკითხი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა

დანართი

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, თ. ერისთავის N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115